საახალწლო მუსიკა რესურსი N 2

მოამზადა რუსუდან თაყაიშვილმა

1) მოსწავლეები წინა რესურსში წარდგენილ საახალწლო აუდიოჩანაწერებს მასწავლებლის დახმარებით კომპოზიციურად კრავენ, სასურველია, მასალა არ აღემატებოდეს 20-30 წუთს და რამდენიმე დღის განმავლობაში მოისმინონ შესვენებებზე.
2) ადმინისტრაციის ხელშეწყობით, სკოლა რადიოფიცირებულია. მუსიკის მასწავლებელი ინფორმაციულ მენეჯერთან ერთად ორგანიზებას უწევს სხვადასხვა კლასში შექმნილი აუდიოჩანაწერების გაჟღერებას სკოლაში, რაც ნაძვის ხის მორთვისთვის, გამოფენის მოწყობის ფონად შეიძლება გამოიყენონ. აქტივობაში ჩართული კლასებიდან თითოეულს ეძლევა დიდი შესვენების მუსიკალური გაფორმების საშუალება. თითოეულ კლასს წარმოდგენილი აქვს პროგრამა - მუსიკალური ნომრების ჩამონათვალი.